ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2022 წლის 18 აპრილის სხდომის

ოქმი N5

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 5

ქ. ხონი

18 აპრილი, 2022 წელი
15:00 საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: გელა ჩოგოვაძე.
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: არჩილ საღარაძე.
საკრებულოს წევრები:

ზურაბ მიქაძე
ზაზა რუხაძე
გურამ ბახტაძე
დემურ სულაბერიძე
ზაზა ვაშაკიძე
ბაჩანა ბასილაია
მაკა ტაბიძე
ამირან კაშია
ია სულუხია
ნინო კუხალაშვილი
ლია ღაჭავა
ვახტანგ ვაჭარაძე
შორენა კაკაბაძე
ზვიად ჩიმაკაძე
ვახტანგ ბალავაძე

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

- მარინა ძაძამია მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
- მაყვალა ბახტაძე ხონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრასპორტისა და არქიტექტურის სამსახურის განყოფილების უფროსი.
- ლევანი ჩიხლაძე მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გელა ჩოგოვაძემ.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გელა ჩოგოვაძემ კენჭის ყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. ხონის მუნიციპალიტეტის კუთვნილი უძრავი ქონების, ხაზოვანი ნაგებობის (გარე განათების კონსტრუქციის) პირდაპირი განკარგვის წესით, პირობით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით, სს ,,სილქნეტი"-სათვის' გადაცემაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მარინა ძაძამია

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხონის მუნიციპალიტეტში 2022-2025 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მაყვალა ბახტაძე

3. ხონის მუნიციპალიტეტის **2021** წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლევანი ჩიხლაძე

საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე __ 17

წინააღმდეგი___0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. ხონის მუნიციპალიტეტის კუთვნილი უძრავი ქონების, ხაზოვანი ნაგებობის (გარე განათების კონსტრუქციის) პირდაპირი განკარგვის წესით, პირობით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით, სს ,,სილქნეტი"-სათვის' გადაცემაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ. საკითხი საკრებულოს წევრებს გააცნო მარინა ძაძამიამ მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილ საკითხი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხონის მუნიციპალიტეტში 2022-2025 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ. საკითხი საკრებულოს წევრებს გააცნო მაყვალა ბახტაძემ ხონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრასპორტისა და არქიტექტურის სამსახურის განყოფილების უფროსმა.

დეპუტატმა ზვიად ჩიმაკაძემ გამოთქვა მოსაზრება სოფ. მათხოჯში მდებარე საბავშვო ბაღის შენობასთან დაკავშირებთ. როგორც მან აღნიშნა უმჯობესი იქნება შენობა აუქციონის წესით გაიყიდოს და არ დაინგრეს. თანხა კი სოფელს მოხმარდეს, ხოლო ბაღისთვის განკუთვნილი ახალი შენობა მიმდებარე ტერიტორიაზე აიგოს.

სხდომის თავმჯდომარემ გელა ჩოგოვაძემ აღნიშნა, რომ ამჯერად აუცილებელია პროექტი იქნეს მოწონებული დანარჩენი საკითხი კი შემდგომ განიხილება და გადაწყდება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილ საკითხი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული

3. ხონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.საკითხი საკრებულოს წევრებს გააცნო ლევანი ჩიხლაძემ მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა.

დეპუტატმა ბაჩანა ბასილაიამ დასვა შეკითხვა, როგორც მან აღნიშნა ნაგვის ურნების შეძენას გეგმავს მუნიციპალიტეტი და უმჯობესი ხომ არ იქნება მომხდარიყო სხვა ტიპის ურნების შესყიდვა?

ლევან ჩიხლაძემ განაცხადა, რომ წინა პროექტიდან გამომდინარე ე.წ. „პლასტმასის ურნებმა“ ვერ იმუშავა და ამდენად იმერეთის რეგიონში იგეგმება რკინის ურნების შესყიდვა და მიმდინარეობს მონაცემების შეგროვება იმის მიხედვით რომელ მუნიციპალიტეტს რამდენი ესაჭიროება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილ საკითხი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებულ იქნა 4 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: **გელა ჩოგოვაძე**

სხდომის მდივანი: **მაია ბობოხიძე**